# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჭიჭინაძის სავაჭროს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1887 წელიწადი


**გაზეთი „ივერია" პირველის იანვრიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.**

ტფილისი, 28 მაისი

დღეს ევროპაში მხოლოდ ორი სახელმწიფოა იმოდენად ძლიერი, რომ თუ ძალიან გაამწარეს და გააგულისეს, შეუძლიანთ გერმანიას ომი გაუბედონ. არც ერთს ამ სახელმწიფოს ჯერ ომი არა ჰსურთ, მაგრამ ნათქვამია, ძალა აღმართსა ჰხნავსო და თუ გარემოება ან ერთს, ან მეორეს ბეწვის ხიდზედ მიაყენებს, მეტი რა გზა იქნება, თავისის სახელმწიფო ღირსების და თავის ერის თავ-მოწონების დასაცველად ხელი უნდა გამოიღონ. ეს სახელმწიფონი ერთი დასავლეთით არის მოსამზღვრე გერმანიისა და მეორე აღმოსავლეთით: ერთი საფრანგეთია და მეორე რუსეთი. გერმანიამ კარგად იცის, რომ თუ მარტოდ დარჩა და მეტის-მეტად გაუკადნიერდა ან ერთს, ან მეორეს, ეს სახელმწიფონი არამც თუ ერთად, თვითოეული ცალკეც შემძლებელია შეჰბედოს ომი და თუ ერთობა მოუხდათ, მაშინ ხომ სასწორი ბედისა ამ ორ სახელმწიფოსაკენ გადიხრება.

ამიტომაც საფრანგეთმა ძალიან კარგად იცის, რომ ძლიერება რუსეთისა ერთად-ერთი თავმდებია საფრანგეთის კეთილდღეობისათვის. ეგრეთვე რუსეთი უყურებს საფრანგეთის ძლიერებასა და არასოდეს ნებას არ მისცემს გერმანიას საფრანგეთი გადალახოს უწინდელებრ. ეს აშკარადა სჩანს იმ საქმისაგან, რომელიც გენერალმა ლეფლომ გამოამჟღავნა ამ ბოლოს ხანებში და რომლის გამოქვეყნება ძალიან ეწყინა გერმანიას. ამ სახით დღევანდელთა დღეთა ვითარებამ ამისთანა აუცილებელი ხიდი გასდო საფრანგეთისა და რუსეთის შორის.

ამ შესაერთებელის ხიდის შიშისა გამო გერმანია დღეს აქამომდე ჰცდილობდა ავსტრია, იტალია, ინგლისი და სხვანი მოემხრო და ამათგან კოალიცია შეედგინა. წინადაც ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს, რომ გერმანიამ ეს ვერ მოახერხა. ამ მომხრეების ძებნაში ერთი ალიაქოთი ასტყდა მოპირისპირეთა შორის და ამათმა ჟურნალ-გაზეთობამ გამოამჟღავნა, რომ გერმანია მარტო თავის საკუთარის თავისათვის იღვწის და მომხრეებს-კი ტყუილის იმედებით იბირებსო. გაუგრილდნენ გერმანიას თითქმის ყველანი და საქმე იმ ბექზედ შედგა, რომ თვითონ გერმანიას შიში მიეცა მარტოდ არ დავრჩე საპოლიტიკო სარბიელზედ უმწეოდ და უმომხრეოდაო და, რაღა თქმა უნდა, მაშინვე პირი იბრუნა.

ჯერ რუსეთს მოუტკბილდა და აქ რომ ვერა გააწყო-რა, საფრანგეთს გაუწვდინა ხელი. საფრანგეთმა თითქო კვერი დაჰკრაო და იმის ნიშნად, რომ შესაძლოა დაახლოვება, საფრანგეთმა ძირს დასცა იგი სამინისტრო გობლე-ბულანჟესი, რომელიც კრიჭაში სხვაზედ უფრო ძლიერ ედგა გერმანიას და თავის თავ-გამოდებით მოსვენებას არ აძლევდა. შესდგა წინანდელის მაგიერ იმისთანა სამინისტრო, რომელიც გერმანიასთან დაახლოვებისათვის უფრო მიდრეკილია. ჩვენის ფიქრით, ამ გობლეს სამინისტროს დათხოვნა და ახალის შედგენა დიდ-მნიშვნელობიანი საქმეა დღევანდელის პოლიტიკისათვის.

ჩვენს თვალში ეს მნიშვნელობა ასეა წარმოდგენილი: ეგ ახალი სამინისტრო ხანგრძლივად ვერ დაიჭერს თავსა. იმიტომ-რომ იგი ვერც იმ ინტერესს გასწირავს, რომელიც ჰთხოულობს, რომ რუსეთი ხელ-უხლებელი იყოს, როგორც ძლიერი მოპირისპირე გერმანიისა აღმოსავლეთის მხრით, და ვერც უარ-ჰყოფს გერმანიასთან დაახლოვებას. არც ერთის ამა საქმისათვის ამ ახლანდელს სამინისტროს საკმაოდ თავ-გამოდებული ფხიანი კაცები არა ჰყავს. ამ სახით ეხლანდელი სამინისტრო ამ ორ ერთი-ერთმანეთის შემმუსრველ საქმეთა შუა სდგას და ვერც იქით წაიწევს წინ და ვერც აქეთ. ამ ორ-წყალშუა დგომას დიდხანს თავის დაჭერა არ შეუძლიან: დღევანდელი დღე ისეთი არ არის, რომ დგომა ცდომად არ ჩასთვალოს საფრანგეთმა: იგი ან ერთს წყალს უნდა გავიდეს, ან მეორესა. ამიტომაც ყველანი იმას ამბობენ, რაც ჩვენ პირველ ხანშივე ვსთქვით, როცა ახალის სამინისტროს სია დეპეშამ გვაცნობა: ეგ სამინისტრო მოკლე დღისააო. თვითონ საფრანგეთიც ამას ამბობს და შესაფერი სახელიც დაურქმევია ამ სამინისტროსათვის: საკანიკულო სამინისტროაო.

ვიდრე საფრანგეთში ორი უდიდესი და უმთავრესი მდინარეობა აზრისა, დღეს ერთმანეთთან შეჭიდებულნი, არ გამოირკვევა, ეგ ორთა წყალთა შუა მდგომი სამინისტრო ფეხზედ იდგება და მაშინვე დაეცემა, როცა-კი გამოირკვევა რას ამჯობინებს საფრანგეთი: იმ პოლიტიკას, რომელიც რუსეთთან კავშირს ჰხადის უკეთესს ღონედ საფრანგეთის ბედნიერებისათვის, თუ იმას, რომელიც გერმანიისა და საფრანგეთის შორის ხიდის გადებას ჰლამის. რომ ამ ორისავე აზრის დასნი და მომხრენი თანასწორად თითქმის ძლიერნი არიან დღეს, ამას ამტკიცებს ჯერ ისა, რომ ეხლანდელს სამინისტროში არც ერთის აზრის მტკიცედ და უკან დაუხედველად მიმდევნი კაცები არ მოჰყვნენ და ვინც-კი ამისთანა იყო, მან უარი სთქვა მინისტრობაზედ; მეორე ისა, რომ „Journal Officiel"-ის სიტყვით, რაკი პარიჟელებმა შეიტყეს ბულანჟეს დათხოვნა სამინისტროსაგან, 15,000 კაცი შეიყარა და ჰყვიროდაო: „გაუმარჯოს ბულანჟეს! გაგვეცალოს პრეზიდენტი გრევი! შორს ჩვენგან პრუსიელნიო!"

საფრანგეთის რადიკალთა გაზეთები ძალიან მკვახე სიტყვებს ესვრიან ეხლანდელს სამინისტროს და არა ჰზოგვენ თვით პრეზიდენტს გრევის და სენატსა ბულანჟეს გადაყენებისათვის. მთავრობა საფრანგეთისა ამაების გამო ისე გაჭირებულიაო, ამბობენ გაზეთები, — რომ პრეზიდენტის გრევისა და გერმანიის ელჩის სასახლეებისათვის დარაჯები მიუყენებიათ და ჯარებსაც ბძანება მისვლიათ ბინიდამ ნურავინ გარედ ნუ გავაო. დღეს იქნება თუ ხვალე, ეს აზრთა ბრძოლა გამოირკვევა და ამის მიხედვით შესდგება ახალი სამინისტროც. ამ დღემდე-კი დღევანდელი სამინისტრო გასძლებს და, ჩვენის ფიქრით, ევროპის პოლიტიკაც ამ დღემდე ბევრს ახალს არას იმოქმედებს და ლოდინში იქნება.

## ახალი ამბავი

*** გუშინწინ, 27 მაისს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში მოხდა წლიური კრება წევრებისა. ამ კრებას დაესწრნენ სხვათა შორის მთავარ-მართებელის რჩევის წევრნი და ალექსანდრე ეპისკოპოსი. კრება დაიწყო იმით, რომ ბ-მა მდივანმა წაიკითხა ანგარიში წარსულის წლის საზოგადოების მოქმედობისა. როგორც სჩანს ამ ანგარიშიდამ, წარსულ 1886 წ. საზოგადოებას უმოქმედნია ორ გვარად: გაუვრცელებია ამიერ-კავკასიაში საუკეთესო ცოდნა მეურნეობის განსაკარგებლად ტეხნიკის მხრივ; ამის გამო დაუარსებია საბაღოსნო სკოლა და ამას გარდა რამდენსამე ადგილას გაუმართავს სადგურები, სადაც აჩვენებდნენ თურმე ხალხს, თუ როგორ უნდა მოაშენდეს აბრეშუმის ჭია უფრო საუკეთესოდ და კარგად; გაუვრცელებია კარგის ჭიის თესლი და ოთხს ენაზედ დაბეჭდილი წიგნი აბრეშუმის სა-

## ფელეტონი

### ჩიტი-გვრიტი

(შემდეგი*)

რაკი ერთი გადასწყვიტა არსენ შავგულიძემ, რომ ჩემი ცოლი მე უნდა აღვზარდოო, არც ერთს შემთხვევას არ ჰკარგავდა მისთვის რაიმე მოძღვრება, რჩევა-დარიგება არ მიეცა. დარიგება გონებისა და ზნეობისა განვითარებისათვის, ყოფა-ქცევისათვის, ჩაცმა-დახურვისათვის, — ყველა ამას იმის მოქმედების პროგრამმას შეიცავდა. თაფლოც სიტყვა-უბრუნებლივ ქმრისაგან ყოველთვის გულ-მოდგინედ მოისმენდა და მეხსიერების კიდობანში თვითეულად მოწიწებით ჩაალაგებდა.

აღარ შეიძლება კაცმა კაცზედ იმაზედ მეტი ზნეობრივი გავლენა და ზედ-მოქმედება იქონიოს, რაც შავგულიძეს თავის მეუღლეზედ ჰქონდა. ქმრის ყოველი სიტყვა უკანასკნელისათვის უცილობელი სჯული იყო; ხოლო ძალ-დატანებით მინაცემი-კი არა, არამედ საკუთარის ნებითა და სურვილით მიღებული.

გაკვეთილებისათვის და ვარჯიშობისათვის არც განსაზღვრული დრო, არც ადგილი არა ჰქონდათ დანიშნული. ოთახიც, ეზოც, ქუჩაც ამათთვის კლასი იყო. ყოველთვის და ყველგან ქმარი აღმზრდელის როლს თამაშობდა და ცოლი მოწაფისას.

მაგრამ ბევრი აღმზრდელი ინატრებდა ასეთს მოწაფეს და ბევრი მოწაფე ასეთს აღმზრდელს! მე ვიცი წყენა და შფოთი ჩამოუვარდებოდათ, უსიამოვნება მოუხდებოდათ ოდესმე სწავლის დროს! ღმერთმა დაიფაროს! სიწყნარე, სიმშვიდე, ერთმანეთის შეცოდების მიტევება, სისუსტის შეწყნარება სწავლაში უმთავრესს პირობას შეადგენდა.

მაინცა-და-მაინც თუ საქმე სასჯელზედ მივარდებოდა, მათ ხმარებაში მხოლოდ ერთი საშუალება ჰქონდათ დაწესებული გარდახდევინებისათვის: დამნაშავე უნდა ამდგარიყო და მოპირდაპირესათვის სამჯერ ზედი-ზედ შუბლზედ ეკოცნა; ამის შემდეგ საქმე ყოველთვის მშვიდობიანად ბოლოვდებოდა.

კვირა დღეა. არსენ შავგულიძე — გვრიტი მოცლილია და ამიტომ მას შეუძლიან თაფლოს — ჩიტს გაკვეთილი მისცეს, ყველაფერზედ დალაგებით ებაასოს, ცოტა რამ შეასმინოს და დღე მუქთად არ ჩაატაროს. მეგაზეთემ ამ დროს გაზეთიც შემოაგდო აივანზედ. გვრიტმა მოიღო გაზეთი, მიუჯდა ტაბლას (სტოლს) სარკმელთან ახლო და სანამ კითხვას დაიწყობდა, თავისთან ჩიტი მოიხმო და სთხოვა ყური დაეგდო. კითხვა მეთაურის წერილიდგან დაიწყო და დამთავრების უმალვე ჩიტს შემდეგის საკითხავით მიჰმართა:

— მოურიდებლად მითხარ, ჩემო ჩიტო, კარგად გაიგე ყველაფერი, რაც ეხლა მე ამ გაზეთში წავიკითხე?

— კარგად-კი არა, ავადაც ვერა გავიგე-რა, ჩემო გვრიტო, თვალებ დაშვებით და ცოტა მორცხვობით მიუგო ჩიტმა.

— მაშ ყური არ დაგიგდია, როგორც ემჩნევა?

— ყური-კი კარგად ვუგდე, მაგრამ გაგებით-კი ვერა გავიგე-რა, გაიმეორა ჩიტმა.

— იცი მიზეზი, რატომ ვერა გაიგე-რა?

— ვიცი.

— აბა რა მიზეზია?

— ისა, რომ დამწერს კარგად ვერ დაუწერია.

— სტყუი, ჩემო ჩიტო, დამწერს საკმაოდ კარგად დაუწერია.

— მაშ ეხლა-კი ვიცი! თითქო გახარებულმა წამოიძახა ჩიტმა.

— აბ ა რა?

— ისა, რომ, მგონია, შენ კარგად ვერ წაიკითხე,

— არც ეგ არის მართალი, ჩემო ჩიტუნიავ!

— გენაცვა, მაშ სხვა აბა რა მიზეზი უნდა იყოს? გაოცებით იკითხა ჩიტმა.

— მიზეზი ცხადია: შენ ვერა ხარ მომზადებული, არა გაქვს იმდენი ცოდნა და განვითარება, რომ რომელიმე კაი წიგნი ანუ გაზეთი წაიკითხო და თავით-ბოლომდინ ყველაფერს მიხვდე, ყველაფერი ჯეროვანად გაიგო და შეიგნო. როგორც კალატოზი და დურგალი უსწავლელად და უგამოცდილებოდ სახლს ვერ ააშენებენ, ისე უამათოდ შენ განურჩევლად ყველა წიგნისა და გაზეთის წაკითხვას და მის შეგნებას ვერ შეიძლებ. არამც თუ წიგნსა და გაზეთს, არამედ თვით ნასწავლ კაცების ზოგიერთა ბაასსაც-კი, თუ ვინიცობაა შემთხვევით ყურის გდება მოგიხდა, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ. ეს იმიტომ-რომ მობაასენი ხან აქედ გადუხვევენ, ხან იქით; ხან ერთს საგანს შეეხებიან, ხან მეორეს; თუ ეს საგნები წინადვე გაცნობილი გაქვს, ამ საგნებზედ იცი რამე, ბაასსაც გაიგებ; თუ არა და, გაგება ძლიერ საეჭვოა.

სწავლაზედ და სწავლის მნიშვნელობაზედ ადამიანისათვის, ჩემო ჩიტო, კარგად გეხსომება, მე შენთან ერთხელა და ორჯელ არ მილაპარაკნია. ეს ახალი შემთხვევა ნებას მაძლევს ერთხელ კიდევ განგიმეორო, რომ უსწავლელად კაცის თვალი ბევრს ვერას დაინახავს და კაცის ყური ბევრს ვერას გაიგონებს; უსინათლოც და ყრუც, რასაკვირველია, სცხოვრობენ ხოლმე, — უსწავლელსაც შეუძლიან ცხოვრება. მაგრამ რა დიდი განსხვავებაა ყრუ-უსინათლოს და მხედველ-მსმენელის ცხოვრებათა შორის! შეედრება განა სამოთხეს ჯოჯოხეთი? არა ნაკლები განსხვავებაა უმეცრებისა და სწავლის შორის. აქედამ შენ შეგიძლიან ნათლად დაინახო, თუ რა დიდად სცდებიან ისინი, ვინც განუსჯელად უარ-ჰყოფენ სწავლას და ნებით ცვივიან უმეცრების ტბაში!

*) იხ. „ივერია" № 104.

უკეთესოდ მოყვანაზედ დაურიგებია მთელს ამიერ-კავკასიაში.

შემდეგ საზოგადოებას ყურადღება მიუქცევია აგრეთვე შესწავლისათვის სხვა-და-სხვა რიგ სოფლის მრეწველობისა და იმის მდგომარეობისა. შეუსწავლია აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა; გამოუძიებია, რა მდგომარეობაშია საქონლის მოშენების საქმეო; ჰქონია ბაასი აგრეთვე წველადღვების სკოლის დაარსებაზე, ყალბს რძესა, სამეურნეო გამოფენასა, პურის ვაჭრობასა, აბრეშუმის ამოხვევასა, ტყის მრეწველობასა და ბამბის მოყვანაზე. საზოგადოებას ყოველივე ღონე უხმარია, რომ ეს საგნები გამოერკვია რიგიანად და საჭიროებისამებრ დახმარებოდა კიდეცა.

*** ამავე კრებაზედ საბაღოსნო სასწავლებლის უფროსმა ბ-მა ასტაპოვიჩმა წაიკითხა ანგარიში ამ სასწავლებლის მდგომარეობისა. სასწავლებელში ორი განყოფილებაა მოსამზადებელის კლასისა და ამას გარდა გაუხსნიათ პირველი კლასიც. წარსულის წლის განმავლობაში სხვათა შორის ყმაწვილებისათვის უსწავლებიათ მიწის შემუშავება და ბაღოსნობა. სასწავლებელში სულ 32 მოსწავლე ყოფილა. ამ რიცხვიდგან 16 ქართველი, 10 სომეხი, 4 რუსი და 2 ოსი. ტფილილისის გუბერნიიდამ ყოფილა 14 მოსწავლე, ქუთაისის გუბერნიიდამ-კი ერთი; 30 მოსწავლე სკოლისა 15—17 წლისანი არიან, ერთი ოც-და-სამის წლისაა და ერთიც ოც-და-ათისა თურმე. 14 ყმაწვილი სწავლობს და სცხოვრობს სკოლაში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ხარჯზე. რადგანაც ძრიელ ბევრს მოუნდომნია ამ სასწავლებელში სწავლა, უკანასკნელ დროს კიდევ მიუღიათ რამდენიმე ყმაწვილი მშობელთა ხარჯით. სამეურნეო საზოგადოებას ყოველივე ღონის-ძიება უხმარნია, რომ რაც-კი შეიძლება გააიაფოს ამ სასწავლებელში სწავლა და დაუნიშნავს იმდენი გადასახადი მშობლებზედ, რამდენიც თითონ ეხარჯება ყმაწვილების ჭამა-სმასა და ჩაცმა-დახურვაზე და ამიტომ ეხლა ვინც თავის ხარჯით იზრდება ამ სასწავლებელში, სულ 70 მან. იხდის თურმე წელიწადში.

*** წლიურ კრებაზედ წაიკითხა აგრეთვე ბ-მა ეგნატე იოსელიანმა მეტად საყურადღებო და საინტერესო მოხსენება. რეფერენტმა გაარჩია თითოეულად, თუ კანონის მიერ რა უფლება აქვთ მინიჭებული საბატონო და სახელმწიფო გლეხებსა და ხიზნებსა და თუ ეს უფლებანი როგორ მოქმედებენ მეურნეობის წარმატებისათვისაო. ამის შემდეგ კრება შეუდგა არჩევანს. ამ წელს უნდა ახლად აერჩიათ საზოგადოების პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, ორი წევრი გამგეობისა და მდივანი. კრებამ უკენჭოდ, ერთ-ხმივ ამოირჩია პრეზიდენტად უწინდელივე პრეზიდენტი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი. შემდეგ ვიცე-პრეზიდენტმა ბ-მა ხატისოვმა სთხოვა კრებას, დაასახელეთ ახალი კანდიდატი ჩემს ადგილას, რადგანაც კანონიერი დროც გამივიდა და სხვა-და-სხვა საქმეების გამოც ვეღარ ვეკისრებ ამ თანამდებობასაო. კრებამ ბევრი სთხოვა, რომ ხელ-ახლად იკისრე ვიცე-პრეზიდენტობაო, მაგრამ ბ-მა ხატისოვმა უარი გამოაცხადა. პრეზიდენტის უარი მით უფრო სამწუხაროა, რომ აქამომდე სხვა კანდიდატი ამ ადგილისათვის არავინ არის და ამიტომ კრებამ არჩევანი გადასდო კიდევ ერთის კვირითა.

*** რადგანაც ამ უკანასკნელ დროში კალია დიდს ზიანს აძლევს ჩვენს სოფლის მრეწველობას, ბ-ნ ტიხეევს, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უფროსს რწმუნებულს კავკასიაში, უთხოვნია სამინისტროსათვის: განსაკუთრებით კალიის გასაწყვეტად მთავრობამ ფული უნდა გადასდოსო.

*** სოლოლაკის დიდის კამარა-შეკრულის არხის კეთება ჯერ აქამომდე არ გაუთავებიათ. მთელს სოლოლაკის ქუჩაზე დიდი გორები დგას ნათხარის მიწისა. არხი ძალიან გაფუჭებულა და დიდს შეკეთებასაც ნდომულობს. ქალაქის გამგეობას არხის შესაკეთებლად გადაუდვია 3,800 მანათი.

*** მაისის 27-ს კაზლოვის სასტუმრო ოთახებში უპოვნიათ მკვდარი ქალი. ეს ქალი მოხელის ბალატუროვის ცოლი სოფიო აღმოჩენილა და თურმე თითონვე მოუწამლავს თავი. ქალს დაუტოვებია ათი წერილი სხვა-და-სხვა ვინმეთათვის გარდასაცემად. სხვათა შორის ერთი წერილი პოლიციის სახელობაზე ყოფილა. ამ უკანასკნელს წერილში განსვენებული სთხოვს თურმე პოლიციას, რომ ჩემი სიკვდილი არავის არ დააბრალოთ, რადგან მე თვითონვე მოვიწამლე თავიო. მოწამლულის გვამი საანატომიო თეატრში გაუგზავნიათ.

*** ვლადიკავკავიდამ გვწერენ: თითქმის ეს ათი-თერთმეტი წელიწადი იქნება, რაც სოფ. გიზელში მცხოვრები ოსი ბიბო თმენოვი ყაჩაღად გავარდნილი იყო. ბიბო თმენოვი მომეტებულად ჩერქეზებში და ქიშტებში იფარავდა თავს და ბევრს ზარალსაც აძლევდა ხალხსა. თმენოვი სულ 29 წლისა იქნებოდა და თან დაჰყავდა თავისი 17 წლის ძმაც. ყაჩაღის თმენოვის დაჭერას თუმცა ბევრსა ცდილობდნენ, მაგრამ დღესაც ცოცხალი ვერ ჩაიგდეს ხელში. პირველს ამ მაისს სოფ. ქარძინში ერთის ოსისას ყოფილიყვნენ ბიბო და იმისი ძმა. შუაღამისას გამოვიდნენ თურმე თავიანთ მასპინძლის სახლიდგან ორნივ ძმები თმენოვები და მიდიოდნენ. სად მიდიოდნენ, ეგ ღმერთმა უწყის. მასპინძლის სახლს ცოტა რომ გამოსცდნენ, გავარდა თოფი, მოხვდა ბიბო თმენოვს და იქვე გადმოვარდა ცხენიდგან. თოფის მსროლელი ვინ იყო, დღესაც არ იციან. ბიბო ყაჩაღს ტყვია ჯერ მოხვედროდა ბერდანკისკონდახში, კონდახი შეემტვრია ტყვიას და ერთის გვერდიდგან მეორე გვერდში გავარდნოდა ყაჩაღს ბიბოს. ყაჩაღის უმცროსი ძმაც იქვე დაიჭირეს და ხელებ გაკრული ამოატარეს სოფ. ხუმელაგაზედ. ეს პატარა ყაჩაღი მიჰყვანდათ ქ. ვლადიკავკავში.

ყაჩაღების ძამუაევის და თმენოვის გამოისობით, მე როგორც ნამდვილად გავიგე, მინდვრის ოსების სოფლებში სხვაც ბევრი არის ეგე ქვეშ. ბევრი დაისაჯა კიდეც და ზოგი მათგანი დღესაც დატუსაღებულნი არიან. დატუსაღებულნი სულ 50 კაცამდე იქმნებიან.

*** წინა-მხრიდამ გვწერენ, რომ კახეთში სოფ. კოლაკში ერთის კვირის წინად მოხდა საშინელი და შემაძრწუნებელი ამბავი. თ. გ. ვაჩნაძე სალამოთი დაბრუნდა შეზარხოშებულზე გარდამეტებით ნასვამი თავის სახლში და შინ თავისი შვილები დაჰხვდნენ. ერთი მისი ვაჟიშვილი ასე 20 წლისა, რომელიც ცოტა გონება-სუსტია, წინ დაუხვდა და რაღაც სიტყვაზე მამას თურმე ეცა ყელში. მამამ არც აილო, არც დაილო და პასუხად თავის შვილს გულში დასცა ხანჯალი. უბედურს მსხვერპლს სულ ნახევარ საათი-ღა უცოცხლია.

მამას, შვილის სისხლით შესვრილს, დაეძახნა მეზობლები. მეზობელნი მოსულიყვნენ და ენახათ შესაზარი სურათი. მამას ეთქვა მათთვის, რომ ჩემი შვილი მარჩობდა, მე სილა გავარტყი და პირ-ქვე მიწაზე დაეცა; გული ქვაზე დაჰკრა და აგერ შემომაკვდა უბედურიო. მეორე დღეს პოლიციის ბოქაულს შემოწმების დროს თურმე იგივე უჩვენა, მაგრამ როცა ექიმი და გამომძიებელი მოვიდნენ, მაშინ-კი სინამდვილე ეღიარებინა.

რაოდენადაც პირველ დღეს იყო გულ-გრილად შვილის მკვლელი მამა, იმოდენად დღეს არის ჩათუთქული და სინიდისისაგან გატანჯული. მხოლოდ ის-ღა მოახერხა გამომძიებელთანა, რომ სთხოვა, ნება მიბოძეთ დავასაფლაო უბედური და შემდეგ მე თვითონ წაველ სიღნაღის საპატიმროშიო.

*** ტფილისის მოქალაქის თათოზ მირალიანის ცოლი გაიანე, რომელიც სულით ავადმყოფია, წარსულის აპრილის თთვის 6-ს ქმარს გაექცა და სადღაც გადაიკარგა. გუშინ ამოუყვანიათ ცოცხალი იმ სახლის ჭიდგან, რომელშიაც ქალის ქმარი მირალიანი სადგურობს. ჭიდგან ამოყვანილი გაიანე არაფერს იტკივებს, ძალიან ჯან-საღად არის, მხოლოდ უსმელ-უჭმელობისაგან ძალიან დასუსტებულა.

*** 27 მაისს, პოლიციის მე-10 ნაწილში, ფინლიანდიის მცხოვრებელს გლადისლავ ტელიავუსს, 19 წლისას, განზრახვა ჰქონდა მტკვარში გასულიყო ბანაობით, მაგრამ შუა-წყალთან მივიდა თუ არა, წყალმა დასძირა და დაირჩო. დამრჩვალის გვამი ვერ იპოვნეს.

*** 27 მაისს, პოლიციის მე-9 ნაწილში, გაუქურდავთ ქ. რეველის მცხოვრებელი იოსებ გრუნტალი და 49 მანათის სხვა-და-სხვა ნივთები წაუღიათ. ქურდად უცვნიათ ჯარისკაცი ნიკოლოზ კაზაკოვი, რომელსაც თავისი დანაშაული უღიარებია და ნაქურდალი დაუბრუნებია პატრონისათვის.

*** 26 მაისის ღამეს თამამშოვის ქარვასლაში გაუტეხიათ ვიღაც ქურდებს ერთი დუქანი და გაუტანიათ ოც-და-ათი ქოლგა არტემ ელიზეგოვისა, სულ 100 მანათად ღირებული. გამოძიება სწარმოებს.

*** 25 მაისსავე ტფილისის მოქალაქის ბაბანასოვის ცოლმა გაუფრთხილებლობით გადმოაქცია ნავთის სავსე ანთებული ლამპარი, ცეცხლი კაბაზედ მოედო და ისე ძალიან დაიწვა, რომ მეორე დღესვე გარდაიცვალა.

—

სია შემწირველთა

წიფასა და ფონას შუა ჩამოწოლილ მიწისაგან დახოცილთა ცოლშვილის სასარგებლოდ კიდევ მოგვივიდა 22 მან. ეს ფული შეუგროვებია ქალ. ახალქალაქში ბ-ნ პარმენ ჯავროვს. აი შემწირველთა სიაც:

პეტრე იეანეს ძე კირკესალოვისაგან . . . . 3 მ.— კ.
ალექსანდრე ფიცხელაურისაგან . . . . . . 2 „— „
რაფიელ იაკობის ძე ალეღლოვისაგან . . . . 1 „— „
კონსტანტინე სელავინისაგან 1 „— „
მარიამ შირაევისაგან. . . „ „—50

„შენ, ჩემო ჩიტო, სრულიად დამნაშავე არა ხარ, რომ სწავლა დამთავრებული არა გაქვს,—ეს შენის მშობლების ბრალია; მაგრამ ძლიერ-კი დაამავებ, რომ არ დამიჯერო და ამას იქით შეძლებისადა გვარად სწავლას ხელი არ მიჰყო. იქმნება იფიქრო, რაღა დროს სწავლაა, ქმრიანი ქალი ვარო; მაგრამ ეს შენი ფიქრი საფუძველს მოკლებული იქმნება. ხომ გაგიგონია: სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჰარბდებაო. ამის თავ-და-პირველს მთქმელს სრული ჭეშმარიტება უთქვამს: სწავლა კაცისათვის ცხოვრებაში ნამდვილი ფანარია, რომელიც მას სიცოცხლის გზა და კვალს უნათებს და მით ათას ნაირს მოსალოდნელს დაბრკოლებას, გაჭირვებას, შავ დღეს თავიდამ აშორებს. ნუ თუ მეტი და უსარგებლო იქმნება, რომ კაცმა ასეთი ფანარი სამარემდის თან ატაროს და მუდამ საჭიროებისდა გვარად პატრუქი უსწოროს და ზეთი უმატოს?

ჩიტი ამ ლაპარაკის დროს გვრიტის პირ-და-პირ, ტაბლის მეორე გვერდისკენ იჯდა, თვალი თვალში ჰქონდა გაყრილი და ქმრის თვითოეულს სიტყვას მოწიწებით და გულ-მოდგინეთ ისმენდა. ქმრის უკანასკნელ სიტყვებმა მის მგრძნობიარე გულზედ იმოქმედა და მცირეოდენი უკმაყოფილების ნაპერწკალი მოახვედრა. მან ქმარს გრძელი ბაასი გააწყვეტინა და, ცოტა არ იყოს, წყრომის კილოთი მიმართა:

— შენ ისე მელაპარაკები, ჩემო გვრიტო, თითქო სწავლაზედ უარს ვამბობდე.

— არა, სრულიადაც მე მაგას არ ვამბობ და არც ასეთი ცილი დამიწამებია შენთვის, უპასუხა გვრიტმა. მე ვსთქვი მხოლოდ, რომ ძრიელ დააშავებ, თუ სწავლას ხელს არ მიჰყოფ-მეთქი. წადილი, ვიცი, დიდი გაქვს, ჩემო ჩიტო, მაგრამ წადილი მხოლოდ წადილად არ უნდა დარჩეს—აი ჩემი სათქმელი რა არის.

— მე, ჩემო გვრიტო, რაც შემიძლიან, იმას დაგპირდები: შენ მომთხოვე სურვილი და ბეჯითობა, დანარჩენი-კი შენი ვალი იყოს.

— შენს პირს შაქარი! მეც მხოლოდ ეს მინდა. ჩემი მოვალეობა მე საკმაოდ მესმის და მის აღსასრულებლად არც მეცადინეობას, არც შრომას ჩემის მხრით არ დავზოგავ. შენ, მხოლოდ შენ მომეცი მხარი: რომელი გზაც გირჩიო, იმაზედ გაიარე; რა საგანზედაც მიგითითო, იმას მოჰკიდე ხელი; სიტყვა მომისმინე, რჩევა გამიგონე, თხოვნა აღმისრულე და ბოლო რა იქნება, შენ თვითონ შენის თვალით ჰნახავ და დარწმუნებულიცა ვარ, საუკუნოდ ჩემი მადლობელი და მლოცველი შეიქნები.

— შენ გენაცვალე, ჰკვიანო და სიბრძნით სავსე, ჩემო გვრიტო,—წამოიძახა წახალისებულმა და ქმრის მსჯელობით გაოცებულმა ჩიტმა:—შენ მითხრა რამე და არ დაგიჯერო? შენ სთქვა რამე და არ მოგისმინო? შენ მთხოვო რამე და არ აღგისრულო? შენ მირჩიო რამე და შენს რჩევაზედ არ გავიარო?.. ნუ, თავს შემოგევლე, ამას ნუ გამაგონებ. მე ხომ ამით მაწყენინებ და მაწყენინებ, ღვთისათვისაც-კი საწყენო იქმნება. ცოლმა ქმარს არ გაუგონოს, მაშ რიღას ცოლი იქმნება? მერე ისეთმა ცოლმა არ გაუგონოს, რომელიც ყოველ შემთხვევაში მზად არის ქმარს თავი შესწიროს, მტლედ დაედოს! ყოველი შენი სიტყვა ჩემთვის მარგალიტი ყოფილა და იქმნება, და ვინ არის ისეთი დამთხვეული, რომ ნაძღვნევი მარგალიტი ვერ შეიშენიოს, გონიერულად არ მოიხმაროს და დაუდევრად ქარსა და წყალს გაატანოს?

გვრიტს მეტად უამა ეს სიტყვები. სახეზედ სიხარულის მღელვარება შეეტყო. ანაზდად წამოხტა ფეხზედ, მივიდა ახლო ცოლთან; წელში გაიშალა; შალვრის ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და იმედით სავსე გულით ჰკითხა მეუღლეს:

— მაშ მაძლევ პირობას?

— გაძლევ, მოკლედ მიუგო ჩიტმა.

— მოიტა ხელი!

— აჰა, ესეც ხელი! სთქვა და გაუწოდა თავის პაწაწა, თოვლივით თეთრი და თივთიკივით რბილი ხელი.

რასაკვირველია, პირობას შემოწმებაც უნდა. ბეჭედზედაც არ დალონდნენ; არც თუ ლაქა დასჭირდათ; არც ნოტარიუსთან წავიდნენ: მათ იხმარეს ამისთანა შემთხვევისათვის თავიანთ გამოგონილი საშუალება: ერთმანეთს მტკიცედ გადაეხვივნენ და საფუძვლიანის კოცნით დაამტკიცეს საქმე.

**

როგორც ზემოდაც ვსთქვით, არსენ შავგულიძეს განსაზღვრული პროგრამმა არა ჰქონდა შემუშავებული თავის მეუღლის აღზრდისათვის. მისი სამოქმედო ასპარეზი უფრო ვრცელი იყო, ვიდრე მკითხველს ეგონება. ამას სრულიადაც სახეში არა ჰქონდა ის აზრი, რომ გადეშალა ცოლის წინ მხოლოდ რომელიმე ანბანი (ჩიტმა გაცილებით უფრო მეტი იცოდა), ანუ სხვა სამეცნიერო შინაარსის წიგნი და ნება-ნება პირველის ფურცლითგან უკანასკნელამდე ეკითხებინა, რასაკვირველია, ახსნითა და განმარტებითა; არა, ეს მხოლოდ სხვათა შორის იყო. ის სცდილობდა ცოლის ყურადღება ყველაფერზედ მიექცია, რასაც-კი კაცი წარმოიდგენს, ანუ რასაც როდისმე თვითონ ჰნახავდა, ან ოდესმე უნახავს, ან გაუგონია; საზოგადოდ, თუ სიტყვა მოიტანდა და რაიმე საბაბი მიეცემოდა რაზედმე ლაპარაკის ჩამოგდებისა, ყველა საგანზედ დაწვრილებით მოუყვებოდა, თუ როგორ ყოფილა ძველად ამის ამბავი; რა მიზეზით მიეცა ასეთი და არა ისეთი გარეგანი ანუ შინაგანი ხასიათი; რა დამოკიდებულება და კავშირი აქვს ამას სხვა საგნებთან; რა მნიშვნელობა აქვს ბუნებაში; რა ბოლო მოელის და სხვა. ხშირად გადადიოდა აგრეთვე ზნეობრივ სფერაში; განყენებულ საგნებზედაც იცოდა სჯა, მაგალითებრ: რა არის სიმართლე ანუ სიცრუე, რას ჰქვიან სინიდისი, შური, ცილის-წამება, ამპარტავნობა, ვის ეტყვიან ავს კაცს, რითი განირჩევა კეთილი ბოროტისაგან, ანუ ჰორი ასტრონომიისაგან!

რომელ მეთოდს ხმარობდა გარდაცემის დროს, ძნელია კაცმა გამოირკვიოს; მაგრამ დაახლოვებით-კი შეიძლება ითქვას, რომ უფრო სოკრატულს მეთოდს მისდევდა.

ჩიტი და გვრიტი ერთხელ თავიანთ სადგურიდგან სასეირნოდ გამოვიდნენ; მიდიოდნენ გზა-გზა და ჩვეულებისამებრ ერთმანეთს ტკბილად ესაუბრებოდნენ. ამბობდნენ ამ მთისასაცა, იმ

| | | |
|---|---|---|
| მიხეილ მუსხელაშვილისაგან | 2 „— | „ |
| მელიტონ აბაშიძისაგან | 1 „— | „ |
| ვასკასაგან | 3 „— | „ |
| გ. მაჩაბლისაგან | 2 „— | „ |
| მიხელსონისაგან | 1 „— | „ |
| ილია ალხაზაშვილისაგან | 1 „— | „ |
| სოლომონ პოპონდოპულოსაგან | 1 „— | „ |
| ალექსი პავლეის ძისაგან | 1 „— | „ |
| № 1-საგან | 1 „— | „ |
| № 2-საგან | „ | „—50 |
| იოსებ ჩიტაძისაგან | 1 „— | „ |
| სულ | 22 მ.— | „ |
| წინად იყო | 130 მ. | —40 |
| სულ | 152 მ. | —40 |

## ბათუმის ამბები

საკვირველი ამბები ხდება ბათუმში. რომელი ერთი უნდა ჩამოსთვალოს კაცმა?! გასჩუმდე, ეს ხომ მოკალეობის მუხანათობაა—სთქვა ყველაფერი, კაი თუ მალიან დაამლაშო! ახირებული მდგომარეობაა, თქვენმა მზემ! მაინც, ვითარცა პროვინციალური მეთვალ-ყური, ბათუმის ყველა ამბებს ავსწერ, ავკინძამ, როგორც იტყვიან ხოლმე ჩვენში. მაშ „სმენა იყოს და გაგონება“!

ბათუმის ერთს უბანში, რომელსაც აზიზიეს უწოდებენ, ერთი მოედანი იყო. ეს მოედანი დღეს ნაკუწ-ნაკუწებად დაუჭრიათ ქალაქის დეპუტატებს და ჩამოურიგებიათ სხვა-და-სხვისათვის. მთავრობამ-კი გასცა ბრძანება, რომ აზიზიაში მამულების გაყიდვა არ შეიძლებაო. გიკვირს და თვალებს არ უჯერებ: როგორ და საიდგან მოხდა, რომ ეს საუკეთესო ნაწილი ბათუმისა, ეს თვალი მთელის აზიზიასი სხვა-და-სხვების საკუთრება გახდა!!

აქ კიდევ ის არის საკვირველი, რომ, კანონის ძალით, ქალაქის დეპუტატები ყოველ წლივ უნდა იცვლებოდნენ, მაგრამ აგერ რამდენი წელიწადია, რაც ქალაქის დეპუტატებად ისევ მერჯან-ოღა, შავროპულო, ყაზან-ბეგი არიან.

**

ამ დღეებში ბათუმში ლატარია იყო გამართული სამადლო აზრით. ლატარიიდამ შემოსული ფული უნდა მოხმარდეს აქაურს საქალებო სასწავლებელს. უნდა მოვახსენოთ, რომ ამ სკოლის გამგენი ძალიან მარჯვედ იქცევიან. ეს რამდენჯერმე გაუმართავთ ამ სკოლის სასარგებლოდ თუ წარმოდგენა, თუ საღამოები და თუ ლატარია. ჩვენმა ბათუმელმა ქართველებმა-კი სულ დაივიწყეს, რომ ბათუმში არსებობს ჩვენი სკოლაცა, რომელსაც ეჭირვება ხელის მაწოდება და დახმარება.

**

ბათუმიდგან გადიყვანეს გროზნოში აქაური ექიმი გრიგოლ დიმიტრის ძე გაბაშვილი. უნდა ვაღიარო გულ-წრფელად, რომ ბათუმის ქართველ საზოგადოებას ერთი საუკეთესო და პატიოსანი წევრი მოაკლდა. გაბაშვილი აქ ცნობილი იყო, როგორც საუკეთესო ექიმი, პატიოსანი ახალგაზდა, ყოველის კეთილის საზოგადო საქმის გულ-შემატკივარი. იმისი აქედგან გადასვლა ყველას დანანდა, ყველამ, მაჰმადიანთ ქართველებმაც-კი, ასე სთქვეს: გაგვეხარდაო გიგოს (ასე ამბობდნენ აქ) ადგილის მომატებაო, მაგრამ იმისი მოშორება-კი გვეწყინაო.

**

ბათუმი მალიან უსუფთაოდ არის. სანიტარულის მხრივ რომ გაისინჯოს, ასე იტყვით, აზიის რომელსამე ქალაქში გარო. თუმცა ჯაიანის ღორები მალიან „ასენიზატორებენ“, მაგრამ მარტო ამათაც ვერა გაუწყვიათ-რა. ბათუმის უბანი, რომელსაც ლიმან-მეხლესს ეძახიან, პოლიციის განკარგულებით თითქმის სულ გადათხარეს, ქუჩები უნდა გაიყვანოთო. ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ ქუჩების გაყვანას ქვა-ფენილი უნდა. ერთის სიტყვით, სანამ ბათუმში თვით-მმართველობა არ დაწესდება, მანამდე აქ საქმეები ქალაქისა ვერ დალაგდება, ვერ მოეწყობა რიგისამებრ. ქალაქს 100 ათასი მანეთი შემოსავალი აქვს და კარგი იქნება, რომ თვით-მმართველობასაც აღირსებდნენ?

აჭარი

## უცხოეთი

**ბოლგარია.** 17 მაისს პეტერბურგიდგან დეპეშით აუწყებენ „Journal des Débats“-ს, რომ ოსმალეთის ცირკულიარზედ ბოლგარიის სამთავრო ტახტისათვის კანდიდატის ამორჩევის გამო, რუსეთსაც ხმა ამოუღია სხვა სახელმწიფოებთან ერთად და აი რუსეთის პასუხი ოსმალეთის ცირკულიარზედ: ჩვენცა ვწუხვართ ოსმალეთთან ერთად, რომ ბოლგარიის გამწვავებული საქმე აქამდე გაჭიანურდა და დაბოლოვება დღესაც არ ეტყობა, ხოლო ჩვენ განზე ვუდგებით ბოლგარიის საქმეს იმ დრომდე, ვიდრე ბოლგარიის მმართველებად დღევანდელი მთავრობა იქმნება. ოსმალეთის მოვალეობაა, რომ მოსპოს როგორმე დღევანდელი უწესოება ბოლგარიაში და ეხლანდელნი მმართველნი, რომელნიც მიზეზნი არიან ამ უწესოებისა, გადააყენოს როგორმე სამსახურიდგან. რაც შეეხება სამთავრო კანდიდატის ამორჩევას, ეს არჩევანი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი და მოსახერხებელი, თუ ეხლანდელნი მმართველნი სამსახურიდგან გადადგებიან და დიდი საერო კრება კანონიერად იქმნება მოწვეული. როცა ამ მესის თვის წინად დიდნი სახელმწიფონი ჩვენ დაგვეკითხნენ, რომ ვინ უნდა იქმნეს თქვენის აზრით ამორჩეული ბოლგარიის სამთავრო ტახტის კანდიდატად, ჩვენ სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი დავასახელეთ, რომელიც ყველაფრით გამოსადეგია მთავრად. ჩვენ ეხლაც ჩვენს კანდიდატად სამეგრელოს თავადს ნიკოლოზს ვასახელებთ და არავითარი მიზეზი არა გვაქვს, რომ უარ-ვყოთ ეს კანდიდატობაო.

**საფრანგეთი.** ახალს საფრანგეთის სამინისტროზედ გაზ. „La République Française“ ამბობს, რომ რაკი შესდგა ახალი სამინისტრო, უეჭველია ხანგძლივი სიცოცხლე ექმნება კიდეცაო. ამ სამინისტროს მხოლოდ ისინი გაუწევენ წინააღმდეგობას, რომელნიც თავის კერძო საქმეებს ამჯობინებენ ქვეყნის საქმეს და სამინისტროს კრიზისი თავის კერძო სარგებლობისათვის უხარიანთ და მოსწონთო.

— გაზ. „Matin“-ი ამბობს: გენერალ ბულანჟეს ამორჩევა და ომის დაწყება ერთი იქნებოდა. გობლემ და გრევიმ ერთსა და იმავე დროს გადასწყვიტეს, ბულანჟე სამხედრო მინისტრის თანამდებობიდამ გადავაყენოთო და კიდეც აასრულეს თავიანთი გადაწყვეტილება. ამასთან ერთმანერთს პირობა მისცეს, რომ რადიკალებიც ვსდევნოთო და ეს ბრძოლა რადიკალებთან იმითი დაიწყეს, რომ ბულანჟე გადააყენეს სამსახურიდგანაო. დღეიდგან რადიკალები ბულანჟეს ირგვლივ მოიყრიან თავს და ბრძოლას დაიწყებენ: მათი გამარჯვება ბულანჟეს გამარჯვება იქმნებაო. ამ ერთის წლის წინად შეიძლებოდა ბულანჟე გადაეყენებინათ სამხედრო მინისტრის თანამდებობიდგან ისე, რომ ერთს არ ამოეღო ხმა და ერთი კაცი არ წამოსარჩლებოდა ბულანჟეს, მაგრამ ბულანჟე პრინცების საფრანგეთიდგან განსადევნელად მოუნდათ და არ გადააყენეს. ეხლა ბულანჟეს წინააღმდეგნი არიან თითქმის ყველა მშვიდობიანობის დამცველნი, ხოლო დანარჩენნი-კი ბულანჟესა მომხრეობენ და სარჩლს უწევენ და ძალიან ბევრნიც არიან ეს დანარჩენები და დიდი ძალაც უპყრავთ ხელშიო.

**ინგლისი.** ირლანდიაში ძალ-მომრეობით მოქმედების კანონ-პროექტი ისე ვერ დამტკიცდა, როგორც მთავრობასა სურდა, თუმცა პარლამენტში ამ კანონ-პროექტის სრულად მიღებას მხარს აძლევდნენ კონსერვატორს მთავრობას ლიბერალი დისსიდენტები. გლადსტონს-კი თურმე დღე-დღეზედ დიდ-ძალი მომხრენი ემატებიან. მაგალითებრ, ამას წინად ერთმა დეპუტატმა პალატიდგან გასვლის სურვილი გამოაცხადა და იმის მოადგილედ სხვა ამოირჩიეს. თუმცა ბევრს ცდილობდნენ ტორიები და ლიბერალი დისსიდენტები თავიანთი კანდიდატი უთუოდ ყოფილიყო ამორჩეული, მაგრამ მაინც გლადსტონის მომხრეთ გაიმარჯვეს და მათი კანდიდატი იქმნა ამორჩეული დიდის ხმის უმეტესობით. საზოგადოდ, კონსერვატორთა დასს ისეთი დიდი გავლენა აღარა აქვს, როგორც უწინ იყო. განსაკუთრებით ძლიერ უყურებენ იმ ვიგებს, რომელნიც ირლანდიის საქმის გამო განცალკევდნენ ლიბერალთა დასს. ეს ვიგები რომ არ განცალკევებოდნენ ლიბერალთა დასს, ტორიების სამინისტრო დიდი ხანია ძირს დაეცემოდა აქამდე და ვერც ირლანდიაში ძალ-მომრეობითის კანონების შემოღების პროექტს მიაღებინებდა პარლამენტსაო. რომ მკვიდრნი ძლიერ უფრთხიან ტორიების სამინისტროს, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ამას წინად, მაგალითებრ, ლიბერალის დასის ერთს ძველს მომხრეს ბრისტოლს, რომელიც ეხლა ტორიებსა მომხრეობს, ამას წინად განზრახვა ჰქონდა ერთს კრებაზე სალისბერის კაბინეტის პოლიტიკა დაეცვა, მაგრამ მკვიდრთ სტვენა მოჰყოლიათ თურმე და ერთი სიტყვაც არ ათქმევინეს ბრისტოლსა.

— გაზ. „Neue Freie Presse“ ამბობს, რომ ოსმალეთს განზრახვა აქვს საბოლოოდ დაუთმოს ეგვიპტე ინგლისსაო.

— „Journal des Debats“-ის სიტყვით, რუსეთს გამოუცხადებია, რომ ეგვიპტის საქმის გადაწყვეტა საერთაშორისო საქმე, ყველა სახელმწიფოთ უნდა მიიღონ ამ საქმის დაბოლოვებაში მონაწილეობა და ამიტომ ინგლისისა და ოსმალეთის შორის ამ საქმის გამო შეკრული პირობა კანონიერად არ ჩაითვლებაო.

— ლონდონში ამბავი მოსულა ავღანისტანიდგან, რომ ყველა მეამბოხე ტომთ მორჩილება გამოუცხადებს ემირს აბდურახმან-ხანს და საერთო მშვიდობიანობა ჩამოვარდაო.

— სტამბოლიდამ დეპეშით აუწყებენ 17 მაისს გაზ. „Paris“-ს: აქაურს სადიპლომატო წრეებში ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ოსმალეთი და ინგლისი ეგვიპტის საქმის გადაწყვეტის შემდეგ უეჭველია ერთმანერთს საიდუმლო და ფარულის პირობით შეეკვრებიან, რომ ორივეს სატევი და საგარეო პოლიტიკა ერთ გვარი ჰქონდეს და თუ საჭირო იყოს, ორივენი ერთად გაუმკლავდეთ რომელსამე ჩვენს მტერს.

მთისასაცა; მაგრამ გერიტს თავისი მისია მაინც არც აქ აეწყდებოდა.

— იცი, რა უნდა გითხრა, ჩემო ჩიტუნიავ,—ეუბნებოდა გერიტი თავის მეუღლეს:—მე ყოველს შემთხვევაში ვცდილობ ადვილად გასაგების ენით გელაპარაკო, ნათლად დაგიხატო საგანი, მარტივად გარდმოგცე აზრი; მაგრამ ადვილად შესაძლებელია, რომ შენ მაინც კარგად ვერ მიხვდე, ან ბუნდად ან სრულიად ვერ გაიგო აზრი.

„დიდი შეცდომა იქნება შენის მხრით თუ ამისთანა შემთხვევებში ან მორცხვობით ან სხვა მიზეზით გასჩუმდე და გამეორება, უფრო მარტივად ახსნა არ მომთხოვე. წარმოიდგინე შენ თითონ—დღეს ვერა გაიგე-რა—არა მითხარ-რა, ხვალ ვერა გაიგე-რა—არა მითხარ-რა, ზეგ ვერა გაიგე-რა—არა მითხარ-რა,—ეს რას ეგვანება? ხომ სულ ფუჭად ჩაივლის ჩვენი პირობა! არამც თუ გაუგებრობა, იჭვიც რომ შემოიტანო ჩემს ნათქვამზედ, მაშინაც-კი მოვალე ხარ, თამამად გამიმჟღავნო შენი ფიქრი, რომ ამ გზით შენ საფუძვლიანი ცოდნა შეიძინო და არა რაღაც იჭვებით გაივსო თავი.

„ამასთან, ჩემო ჩიტო, ესეც უნდა დაუმატო: არც ერთი არამც თუ ჩემი, არამედ არც არავისი აზრი არ უნდა ირწმუნო, სანამ ნამდვილ დამამტკიცებელს საბუთებს ანუ მაგალითებს არ გაიგებ. დაუმტკიცებელი აზრი ლაყს კვერცხს შეედარება, რომელსაც არც ერთი ჭკვიანი მზარეული ჩიხირთმაში არ იხმარებს. ხშირად ხალხში საზარელი ცოდო დატრიალდება ხოლმე მხოლოდ იმიტომ, რომ უსაბუთო, ყოველ-გვარ ნიადაგ მოკლებულს აზრს ბევრი ნამდვილ ჭეშმარიტებად მიიღებს ხოლმე. რამდენს სისაძაგლეს ჰბადავს, მაგალითებრ, ჭორი. მერე რა არის ეს ჭორი? ჭორი არის ტყუილი, ვისზედმე შეთხზული ანუ მოგონილი ამბავი, რომელიც სიმართლის ტანისამოსით დაფარფაშებს სულმოკლე საზოგადოებაში, ე. ი. იმ საზოგადოებაში, რომელიც საბუთების მოთხოვნისათვის მაგრე რიგად თავს არ შეიტკივებს ხოლმე და რომლისათვისაც ძიებისა და განსჯის ნიჭი ღმერთს არ მიუცია.

ჩიტი გულ-მოდგინეთ უგდებდა ყურს თავის ქმარს და თან გუნებაში ჰფიქრობდა: „ღმერთო, რა გონიერულად ლაპარაკობს ეს ჩემი გერიტიო“. შემდეგ აღარც-კი დააცალა გერიტს საუბარი დაეთავებინა, სრულის სიწრფელით მიმართა უკანასკნელს შემდეგის სიტყვებით:

— ვერ წარმომიდგენია, ჩემო ძვირფასო გერიტო, თუ შენს მეტს კიდევ სხვას ვისმეს შეეძლოს ასეთი მშვენიერი ლაპარაკი!

გერიტმა ამაზედ მხოლოდ გაიღიმა. ამბობენ, ამისთანა შემთხვევაში გაჩუმება თანხმობის ნიშანიაო. სწორედ მოგახსენოთ, მე ცოდოს ვერ ვიკისრებ და ასე არ დავასკვნი. იქმნება მართლა გერიტი ჩიტის თანახმა არის, იქმნება არც იყოს, მაგრამ სულის ერთმა თვისებამ, რომელსაც თავმოყვარეობას ეძახიან და რომელსაც ასე უყვარს ქების ძლევნი, დღეს ნება არ მისცა წარმოეთქვა: არა, ჩემო ჩიტუნიავ, აშკარად სცდები: მჯობთა მჯობი არ დაილევაო.

ჩიტის ადვილად შემთვისებელსა და მიმღებს ბუნებაზედ უფრო საგრძნობლად გერიტის უკანასკნელმა სიტყვებმა იმოქმედა; უფრო ეს სიტყვები ჩაჩნდა გულში და უფრო სამკვიდრო ადგილი დაიკავა ჩიტის მეხსიერების სამფლობელოში. ამას შემდეგში ცხადად დავინახავთ.

გერიტმა, რასაკვირველია, განაგრძო ისევ ლაპარაკი; მაგრამ ჩიტის მხრივ მოულოდნელმა ქება-დიდებამ ცოტა არ იყოს ნახტომი შეაშლევინა და საუბრის აზრის ძაფი გააწყვეტინა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შემდეგი სრულიად არ შეეფერება წინა ლაპარაკს და რომ თვითონაც არ გაეგებოდა, რისთვის და რა აზრით მოჰყვა ასეთს ქადაგებას:

— ხშირია ხოლმე, ჩემო ჩიტო, რომ კაცი კაცისათვის სარგებლობის მოტანას განიზრახავს და მის ნაცვლად თავისდა უნებურად მხოლოდ ვნებას აძლევს.

— უკაცრავად-კი, რომ სიტყვა გაგაწყვეტინე და ეს როგორღაც ვერ გამიგია: თუ სარგებლობის მოტანა ჰსურს, ვნებას როგორღა მოუტანს? თუ შეიძლება მაგალითი მითხარ, რომ კარგად გავიგო.

გერიტი პატარა ხანს შეფიქრიანდა: ისეთი რა მაგალითი მოვაგვარო, რომ რაც შეიძლება ნათლად გავაგებინო გამოთქმული აზრი ჩემს თაფლოჩიტ-მეუღლე-მოწაფესაო. ბოლოს დაიწყო:

— მაგალითს ეხლავ გეტყვი, ჩემო ჩიტო! წარმოიდგინე, რომ ერთი ვინმე, ფილიპეა თუ ათანესე, საზოგადო სამსახურის გზას დაადგა და კაცობრიობის... კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ ამ მეტად ზავთიანმა და რიხიანმა სიტყვებმა — „საზოგადო სამსახური“, „კაცობრიობა“—ვაი თუ ჩიტის ნორჩი გონება მხოლოდ უფრო გააბრუოს, ვიდრე შეასმენინოს რამეო; ამასთანავე წინად-გრძნობამაც ყურში რაღაც წასჩურჩულა, რომ თუმცა კაი სიტყვებით დაიწყე, მაგრამ ბოლოს გამოსადეგ მაგალითის მაგივრად სისულელე გამოგივაო. ამიტომ შესწყვიტა ეს მაგალითი და ცოტა ხნით თავის ფხანის შემდეგ დაიწყო ახალი, უფრო მარტივი მაგალითი.

— ...მაგრამ არა... ეს შორს წაგვიყვანს... უკეთესს ვიტყვი... წარმოიდგინე, ჩემო ჩიტო, რომ მე ერთს სიცხიანს დღეს სამსახურიდგან დაღალულ-დაქანცული დავბრუნდი შინ, გავიხადე პალტო-სერთუკი და დასასვენებლად ტახტზედ წამოვწექ. შენ, ჩვეულებისამებრ, ამ დროს მოირბინე ჩემთან და მთხოვე, ჩექმებს დაგხდიო, მეც დაგთანხმდი; ამის შემდეგ შენ ძირს, ჩემის ფეხებისაკენ, დაიხარე ჩექმების დასახდელად; სწორედ ამ წუთას,—იმ განზრახვით, რომ მეტის დახრით შენ წელი არ გატკენინო,—მე ორივე ფეხები ტყუპად უცებ ზევით ამოვწიე და უნებურად შენ ცხვირპირში მოგარტყი და გაგაწვევე. აი ესეც შენი: სარგებლობის განზრახვა და ვნების მოტანა!

მეტად სასიამოვნო დარჩა გერიტს, რომ ასე ადვილად და მალე ასეთი მაგალითი მოაგვარა. ჩიტის ცნობისმოყვარეობაც სრულიად დაკმაყოფილდა.

ალ. მირიანაშვილი

(დასასრული იქნება)

სა. ინგლისი პირობას აძლევს ოსმალეთს, რომ შენის აზიურ სამფლობელოთა დაცვას ვკისრულობ და ოსმალეთმა-კი სამაგიეროდ თავისი ჯარები უნდა მიაშველოს ინგლისს, თუ ამ საზელმწიფოს ბრძოლა აუტყდა ვისთანმე ინდოეთის გამოო.

— ფილადელფიიდგან დეპეშით აუწყებენ გაზეთ „Times“-ს, რომ 15 მაისს მანრეალში დიდის ამბით დახვდნენ ირლანდიელთა დეპუტატს ო'ბრიენსა და კულბრიდს. 17 მაისს ო'ბრიენი ბოსტონში მოვიდა და სადამოზედ სიტყვა წარმოსთქვა; 21 მაისს განზრახვა აქვს სიტყვავე წარმოსთქვას ნიუ-იორკში და 27 მაისს-კი უკანვე დაბრუნდება ირლანდიაში „Adriatic“-ის გემითა.

ამერიკა. ამერიკაში ამ ჟამად დიდი აშლილობაა და გაცხარებული ბაასი და კამათობა დასთა შორის. პრეზიდენტს ამერიკისას კლიველანდს ვადა უთავდება და ეხლა სხვა უნდა ამოირჩიონ. ამბობენ, რომ ბ-ნს კლიველანდს განზრახვა აქვს ხელ-ახლად ამორჩევაზე უარი სთქვასო. ჯერ-ჯერობით კლიველანდის მოადგილედ არავინა ჰყავს მხედველობაში დემოკრატთა დასს და იმედი აქვთ, რომ კლიველანდი ხელ-ახლად ამორჩევაზე უარს არ იტყვისო. რესპუბლიკის მომხრეთა დასს თავის მხრივ გადაუწყვეტია, რომ ბლენს აღარ გამოვაცხადებთ ჩვენს კანდიდატადაო. ჯერ არავინ იცის, თუ რა გზას დაადგება სოციალისტთა დასი. დიდად შესაძლებელიაო, ამბობენ,—რომ რესპუბლიკელთა დასი და დემოკრატთა დასი შეერთდნენ და სოციალისტთა დასის სურვილს წინააღმდეგობა გაუწიონო.

## გასართობი

**ცეცხლის მქრობელ რაზმთა საყურადღებოდ.** ცეცხლს დღითი-დღე დიდი ზარალი მოაქვს, ხან რა იწვის და ხან რა ცეცხლისაგან; განსაკუთრებით ცეცხლი ადვილად გაჩნდება ხოლმე ზაფხულობით. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ცეცხლის მქრობელი რაზმი მაშინ იტყობს ცეცხლის გაჩენას, როცა ცეცხლი მეტად გაძლიერებულია და ძნელად ჩასაქრობი. ცეცხლის ადვილად და მალე ჩასაქრობად ერთი საშუალება მოუგონიათ ვარშავში. ყველა დაზღვეულ სახლიდგან დეპეშის მავთულია თურმე გაყვანილი ცეცხლის მქრობელ რაზმის სადგომში, პოლიციაში და გუბერნატორის სახლში. სადეპეშოდ სულ ახალი ნიშნები გამოუგონია ბ-ნს პოლს, რომელსაც ადვილად ითვისებს თურმე ცეცხლის მქრობელ რაზმის უბრალო ჯარის-კაციც-კი. ამ ნიშნებით შეიძლება შეატყობინოს რომელმამე სახლის პატრონმა ცეცხლის მქრობელ რაზმს და სხვათაც, რომ ამა-და-ამ ქალაქში, ამა-და-ამ ქუჩაზედ და სახლში ცეცხლი გაჩნდაო. დეპეშას სულ 2—3 წუთი უგვიანდება თურმე გზაზედ და ძნელად თუ 4 წუთზე მეტი დაუგვიანდეს, რაც უნდა დიდი მანძილი იყოს ცეცხლის მქრობელ რაზმის სადგურისა და იმ სახლის შორის, რომელსაც ცეცხლი ექმნება გაჩენილი.

**

**ნემსების მოგზაურობა.** პარიჟის გაზეთები შემდეგს მეტად საინტერესო და საყურადღებო ამბავს მოგვითხრობენ. ერთმა თორმეტის წლის ყმაწვილმა ქალმა, სახელდობრ ჟანნა ზ., რომელიც პარიჟში ცხოვრებდა თავის დედ-მამასთან, „Martel“-ის ქუჩაზედ, ამ შვიდის წლის წინად უეცრად გადაყლაპა თურმე მთელი თოფი ნემსისა. ეს ნემსები სრულიად არ აწუხებდნენ თურმე ყმაწვილსა და შვიდის წლის განმავლობაში სრულებით დაავიწყდა კიდეც, თუ როდისლაც ნემსები გადაეყლაპა. ამას წინად ყმაწვილს ფრჩხილს ქვეშ რაღაცამ ჩხვლეტა დაუწყო თურმე, ყმაწვილმა გასინჯა, ნემსის წვერი დაინახა და ადვილად გამოიძრო. იმავე დღეს გამოიძრო კიდევ ექვსი სხვა ნემსი სხვა-და-სხვა ადგილებიდგან და მეორე დღეს-კი თხუთმეტი ნემსიც სხვა გამოუძვრია. ნემსის გამოძრობის დროს არავითარს ტკივილს არა ჰგრძნობდა თურმე ყმაწვილი. ცოტ-ცოტადი ყმაწვილმა ყველა წაყლაპული ნემსი გამოიძრო თურმე და ეხლა ძალიან კარგად და ჯან-საღად არისო. საკვირველი ის არის, რომ ყმაწვილის კანს ქვეშ ნემსები სუფთად შენახულა ასე, რომ დაჟანგება არც-კი ეტყობათო. ეს ნემსები პარიჟის სამედიცინო აკადემიაში გაუგზავნიათ.

# დეპეშა

27 მაისი

**პეტერბურგი.** მინისტრთა კომიტეტს დაუდგენია: სამზღვარ-გარედ გასატან შაქარზედ დაწესებული ბაჟი, რაც-კი გადაჰხდათ სამზღვარ-გარედ შაქრის გამგზავნელებს 1886 წლის 1-ლ აგვისტოდამ, უკანვე დაუბრუნდეთ ფუთზე 85 კაპ.

**სევასტოპოლი.** გუშინ საღამოს მობრძანდა აქ სერბიის დედოფალი.

**პეშტი.** ვენგრიის სამხედრო მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა თავის ამომრჩევლების წინაშე და განაცხადა: იმ გარემოებამ, რომ პალატამ დიდი წინააღმდეგობა არ გამოაცხადა სამხედრო მოწყობილობისათვის ფულის გადადებაზედ, უფრო მჭიდროდ მოაკიდებინა ფეხი მშვიდობიანობასა და მაგარ საფუძველზედ დააყენაო.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატას შეატყობინეს, რომ იმის გამო, თუ პიშინის რკინის გზა გაყვანილ იქმნეს თუ არა ამრამიის მთებზედ, ჯერ არაფერი არ არის გადაწყვეტილიო; ამას გარდა ამ ახლო ხანებში წარმოდგენილი იქმნება ზოგიერთი საბუთები, რომელნიც ინგლისისა და ოსმალეთის შორის ეგვიპტის გამო ხელ-შეკრულობას შეეხებიანო.

**ვენა.** კერძოდ ამბავი მოვიდა სოფიიდგან, რომ ბოლგარიის მმართველთა შორის რაღაც უთანხმოება ჩამოვარდაო. რადიკალი მინისტრები ჰცდილობენ განაძევონ კონსერვატორი მინისტრები და განსაკუთრებით ნაჩევიჩისა და სტოილოვის ძირს დამხობასა ჰცდილობენო.

**ბერლინი.** ყველა არაყზედ შემოღებულ იქმნა დამატებითნი ბაჟნი, რომელიც ძალაში შევა მხოლოდ 1-ლ ოქტომბრიდამ, სულ 30 კაპ. სხვა სახელმწიფოთაგან შემოტანილს თითოეულს „ბოჩკა“ არაყსა, კონიაკსა და რომზედ დაწესებულ იქმნა 50 მან. და სხვა არაყეულზედ-კი ბოჩკაზედ 72 მანეთი. ეს ბაჟიც შემოღებულ იქმნება 1-ლ ოქტომბრიდგან.

### პეტერბურგის ბირჟა, 26-ს მაისს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 8 98 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 173¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — › | — › | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — › | — › | 267¾ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 244 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | | | |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

მაისი 31 დღით არის.

**29 დღე პარასკევი.** წმ. ქალწ. მოწ. თეოდოსი. კათოლ. თეოდოსისა და მაქსიმესი. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუადღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—34. მთვარე 19 დღისაა.

**30 დღე შაბათი.** წმ. ისააკ დალმატელისა. სომეხ. გახსნილება მარხვისა. კათოლ. ფერდინანდისა და ფელიქსესი. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—35. მთვარე 20 დღისაა.

**31 დღე კვირა.** წმ. მოციქ. ერმისა და მოწ. ფილოსოფოსისა. ალების ღამე პეტრე-პავლეს მარხვისა. მარხვაა ოთხი კვირა. სომეხ. ნახატონაქი. ფრანგთა. ყოვლად წმ. სამების დღესასწაული. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. გარდაცვალება იმამის აბუთალიბასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—35. მთვარე 21 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 მაისიდამ 1 თიბათვემდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 2½ | › |
| › 2 › | 2 | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3 | › |
| › › 3 › | 2½ | › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 3½ | › |
| მე-3 — . . . | › | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | › |
| › 2 › | 7 | › |
| სუკი. . . . | 14 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | 8 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო ... ს.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდა პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახალი სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელო წიგნი მიხეილ ნასიძისა:

**ქართველი მწერლები**

II

დავით გურამიშვილი

ფასი 20 კაპ.

ეს წიგნი შეიცავს წინასიტყვაობას, დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას და 14 საუკეთესო ლექსს, ამოღებულს «დავითიანიდამ». ყოველივე ძნელი სიტყვა სხოლიოში განმარტებულია და ისტორიულს ლექსებსაც აქვს საჭირო ისტორიული შენიშვნები. (10—3)


თამბაქო და პაპიროსები

დონის როსტოველ მეფაბრიკეთა

**ძმათა ასლანიდებისა.**

მაღაზია ყალამქაროვის სახლშია, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პაპიროსის მწეველთა და თუთუნის გაჭართა, რომ ამა წლის 15 თებერვლიდგან ჩვენ დავიწყეთ თამბაქოს გაჭრობა; ვყიდით ყველა გვარისა და ღირსების თუთუნსა და პაპიროსებს ჩვენის ფაბრიკისას. ჩვენი თუთუნი ისეთის განსაკუთრებულის თვისებისაა, ისეთი კარგი მოსაწევია, გრილია და სასიამოვნოდ სუნელოვანი, რომ დიდი ხმა აქვს გავარდნილი და დიდ-ძალიც ისყიდება რუსეთის იმპერიის ბევრს დიდს ქალაქებში და სამზღვარ-გარედ. ტფილისში და ამიერ-კავკასიაში დღემდე ჩვენი თუთუნი არ იყო ხმარებაში. ამიტომ დღეს გავმართეთ ზემოხსენებული საფაბრიკო მაღაზია და გვსურს გავავრცელოთ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი. უმორჩილესად ვსთხოვთ პაპიროსისა და თუთუნის მწეველთ, ინებონ და იგემონ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი და პაპიროსები.

ბბ-ნთ გაჭართ იმდენი დავუთმობთ თუთუნის ყიდვის დროს, რამდენსაც საზოგადოდ ფაბრიკები უთმობენ ხოლმე.

მეფაბრიკენი ძმანი ასლანიდები

(25—18)


დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

**ორი მოთხრობა**

ს. მგალობლიშვილისა

I მცვრევაზე

II დიდ ზალაში

ფასი ორი შაური.

### ისყიდება ფასის დათმობით

ტფილისში ყველა წიგნების მაღაზიებში და ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში, ალექსანდრე ეპისკოპოზის მიერ დაბეჭდილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| **ქართული ლექსიკონი** შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . . . . | 3 | „ |
| **ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი** მცენარეთა, ცხოველთა დალითონთა, შედგენილი თ. რ. დ. ერისთავისაგან . . . . . . | 1 | „ |
| **ხმა ცოდვილისა.** თხზ. გიორგი ავალიშვილისა . . . . | „ | 30 |
| **დრამატიკა** ანტონ კათალიკოსისა. . . . . . . | 1 | 50 |
| ეპისკოპოსის ამბროსის **სიტყვანი და მოძღვრებანი** . . | „ | 50 |

(3—2)

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | | |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეფ. მ. კ. ქვსისა . . . . . . | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუვე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა . | › | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . | › | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | 1 | › |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. . . . . . | › | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. | › | 25 |
| განკიცხული, მოხსუბარიძისა . | › | 50 |
| ციკო, მისივე. . . . . , . | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . | › | 15 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | › | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | › | 10 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | › | 15 |
| ზაფხული. ჯულელის რედაქციით. | › | 25 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯულელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . | › | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგ. მახი. . . . . . . . . | › | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . . | › | 40 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | › | 5 |
| ალი. ნ. ლომოურისა. . , . | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . | › | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა. . | › | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . | › | 5 |
| მომღვარი, ალ. ყაზბეგისა. . | 1 | › |
| თხულებანი, მისავე ნაწ. I. . | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . . . . | › | 30 |

Дозв. цен. Тиф. 28 мая 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე